დადგენილება № 73/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020 წლის 19 ოქტომბრიდან სალექციო მეცადინეობების შერეული რეჟიმით წარმართვის შესახებ

დადგენილება № 72/2020
15 ოქტომბერი, 2020

დადგენილება № 73/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020 წლის 19 ოქტომბრიდან სალექციო მეცადინეობების შერეული რეჟიმით წარმართვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 ოქტომბრის № 37 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020 წლის 19 ოქტომბრიდან სალექციო მეცადინეობები წარიმართოს შერეული რეჟიმით (როგორც ფიზიკური, ისე დისტანციური სახით);
2. სალექციო მეცადინეობების შერეული გრაფიკით წარმართვა დაიწყოს 2020 წლის 19 ოქტომბერს და გაგრძელდეს ეპიდიმიოლოგიური საფრთხის შემცირებამდე;
3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა თითოეული დისციპლინის ფიზიკური და დისტანციური რეჟიმით წარმართვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ფაკულტეტის დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
4. დადგენილება გადაეგზავნოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
5. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
6. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
7. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე